GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

17 Şubat /თებერვალი 2026

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 704.5	9 241.5	9.7%	13.9 %	4.8 %

“Gürcistan Kalkınma Fonu ile “Gürcistan’da Üret” Ajansı, Bir Devlet Bankası Çatısı Altında Birleştirilecek” - Irakli Kobakhidze

საქართველოს განვითარების ფონდი და "აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო ბანკის სახით გაერთიანდება - ირაკლი კობახიძე

Başbakan Irakli Kobakhidze, Gürcistan Kalkınma Fonu ile “Gürcistan’da Üret” Ajansı’nın bir devlet bankası çatısı altında birleştirileceğini açıkladı.

Edindiğimiz bilgilere göre, hükümet, “Gürcistan Kalkınma Fonu”nun (eski adıyla “Ortaklık Fonu”) tasfiye edilmesini planlamaktadır. Irakli Kobakhidze, konuya ilişkin yorum yaparken kurumların birleştirileceğini belirtti.

Kobakhidze: ,,Esasen birleşmeden söz ediyoruz. Yeniden yapılanma süreci çok yakında başlayacak ve kapsamlı yetkileri olan tek bir kurum oluşturulacaktır. Oldukça önemli bir girişim. Kalkınma Fonu’nun, ,,Gürcistan’da Üret” ile birlikte tek bir tüzel kişilik altında birleşmesi söz konusudur; bu yapı bir tür devlet bankası niteliğinde olacaktır. Bu klasik anlamda bir banka değildir, ancak banka benzeri işlevlerli ğstlenecektir” şeklinde konuştu.

Gürcistan Başbakanı, söz konusu değişikliklerin gerekliliğini daha etkin ve uygun bir yönetim ihtiyacıyla açıklayarak şu ifadeleri kullandı: ,, Hizmetlerin tek bir çatı altında yönetilmesi daha etkili olacaktır”.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ საქართველოს განვითარების ფონდისა და სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო ბანკის სახით გაერთიანების შესახებ განაცხადა.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

როგორც ჩვენთვის ცნობილია, მთავრობა "საქართველოს განვითარების ფონდის" (ყოფილი "საპარტნიორო ფონდი") ლიკვიდაციას გეგმავს. სწორედ ამ საკითხზე კომენტირებისას განმარტა ირაკლი კობახიძემ, რომ საუბარია უწყებების გაერთიანებაზე.

"რეალურად შერწყმაზეა საუბარი. რეორგანიზაციის პროცესი ძალიან მალე დაიწყება და შეიქმნება ერთიანი ინსტიტუცია, რომელიც შესაბამისი ფუნქციებით იქნება დატვირთული, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო. საუბარია განვითარების ფონდზე, რომელიც "აწარმოე საქართველოსთან" ერთად გაერთიანდება ერთიან სუბიექტად, რომელიც იქნება ერთგვარ სახელმწიფო ბანკად წარმოდგენილი. ეს კლასიკური ბანკი არაა, თუმცა ბანკის მსგავსი ფუნქციებით იქნება აღჭურვილი",- ამბობს კობახიძე.

ის ამ ცვლილებების საჭიროებას ოპტიმალური მართვით ხსნის.

"როდესაც მსგავსი ტიპის ფუნქციებია სხვადასხვა ინსტიტუტებზე გადანაწილებული, უმჯობესია, რომ ერთიანი ხაზით იყოს მართული",- განმარტა ირაკლი კობახიძემ.

Hükümet Bürosunda Gıda Ürünleri Fiyatlarıyla İlgili Toplantı Gerçekleştirildi

სასურსათო პროდუქციის ფასებთან დაკავშირებით მთავრობის ადმინისტრაციაში შეხვედრა გაიმართა

Gıda ürünleri fiyatlarıyla ilgili olarak, Başbakan İrakli Kobakhidze'nin başkanlık yaptığı faaliyet gösteren hükümet koordinasyon komisyonu, gıda ürünleri, ilaç ve yakıt fiyatları üzerinde çalışacaktır.

Komisyon üyeleri, önümüzdeki haftalar için eylem planını geliştirecek. Bu kapsamda üreticiler, perakende zincirleri ve dağıtım şirketlerinin temsilcileriyle toplantılar gerçekleştirilecek.

Hükümet komisyonu, ilgili parlamento komisyonu ile koordineli bir şekilde çalışarak faaliyetlerini muhtemelen Nisan ayının sonuna kadar tamamlayacak.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

Komisyon çalışmaları süreci boyunca kamuoyuna, ürünlerin gerçek maliyetleri, fiyatları oluşturan unsurlar ve fahiş fiyatlar hakkında detaylı bilgiler sunulacaktır. Komisyon üyeleri, çalışma süreci devam ederken fiyat düşüşlerinin başlamasını beklerler.

Hükümet koordinasyon komisyonunun üyeleri aşağıdaki gibidir:

- Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Mariam Kvrivishvili
- Çevre ve Tarım Bakanı Davit Songhulashvili
- İşgal Edilen Bölgeler, İşgücü, Sağlık ve Sosyal Güvenlik Bakanı Mikheil Sarjveladze
- Maliye Bakanı Lasha Khutsishvili
- Devlet Güvenlik Servisi Başkanı Mamuka Mdinaraidze
- Hükümet Ofisi İdari Başkanı Levan Jorjoliani
- Rekabet ve Tüketici Koruma Ajansı Başkanı Irakli Lekvinadze

სასურსათო პროდუქციის ფასებთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით მოქმედი სამთავრობო საკოორდინაციო კომისია სასურსათო პროდუქციის, მედიკამენტებისა და საწვავის ფასებთან დაკავშირებით იმუშავებს.

კომისიის წევრებმა განიხილეს მომდევნო კვირების სამოქმედო გეგმა. გეგმის მიხედვით, გაიმართება შეხვედრები მწარმოებლებთან, საცალო ვაჭრობის ქსელებისა და სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებთან.

სამთავრობო კომისია შესაბამის საპარლამენტო კომისიასთან კოორდინაციით იმუშავებს და მუშაობას სავარაუდოდ აპრილის ბოლომდე დაასრულებს.

კომისიის მუშაობის პროცესში საზოგადოებას მიეწოდება დეტალური ინფორმაცია, რა არის პროდუქციის რეალური ღირებულება, რას მოიცავს ფასები და სად არის არალოგიკური ფასნამატები. კომისიის წევრები იმედოვნებენ, რომ ფასების შემცირება სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას უკვე დაიწყება.

სამთავრობო საკოორდინაციო კომისიის წევრები არიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი მარიამ ქვრივიშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე, ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მამუკა მდინარაძე, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი და კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

Gürcistan'da 1 Nisan Tarihinden İtibaren 6 Yıldan Daha Eski M1 Kategorisine Ait Motorlu Taşıtların İthalatı Yasaklanacaktır

საქართველოში პირველი აპრილიდან იკრძალება 6 წელზე მეტი ასაკის M1 კატეგორიის ავტომობილების იმპორტი

Hükümet toplantısında alınan karar uyarınca, Gürcistan'da 1 Nisan 2026 tarihinden itibaren 6 yıldan daha eski M1 kategorisine ait motorlu taşıtların ithalatı ile ilk ve geçici tescil işlemleri yasaklanacaktır. Söz konusu düzenleme, ilgili kararla belirlenen emisyon (Euro 5/V) standartlarıyla birlikte yürürlüğe girecek. Konuya ilişkin açıklama Çevre Koruma Bakanlığı tarafından yapılmıştır.

Bakanlık açıklamasına göre, 1 Nisan tarihinden önce sevkiyatına başlanmış veya Gürcistan gümrük bölgesine halihazırda giriş yapmış M1 kategorisine dahil araçlar istisnaya tabi tutulacaktır. İşbu araçların ilk tescil işlemleri, 1 Nisan'dan önce yürürlükte olan şartlara uygun şekilde gerçekleştirilecektir.

Çevre Koruma Bakanlığı tarafından paylaşılan Gürcistan Ulusal İstatistik Kurumu (Geostat) verilerine göre, 2024 yılı itibarıyla Gürcistan'da 1 milyon 814 bin motorlu taşıt kayıtlı olup mutlak çoğunluğunu (%85,7) binek otomobiller oluşturmaktadır. Kayıtlı araçların %80,6'sının yaşı 10 yılın üzerindedir.

Yasak aşağıdaki durumlar için geçerli değildir:

• Elektrikli araçlar

• Yeniden ihracat

• Transit taşımacılık

• İhracat

1 Nisan 2026 tarihinden önce satın alınıp karayolu ve demiryolu ile sevkiyata çıkarılan veya yolcu beraberi taşıtlar olarak getirilen araçlar, ancak en geç 1 Temmuz 2026 tarihine kadar Gürcistan devlet sınırını geçmiş olması durumunda istisnaya tabi tutulacaktır.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

მთავრობის სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად, საქართველოში პირველი აპრილიდან იკრძალება 6 წელზე მეტი ასაკის M1 კატეგორიის ავტომობილების იმპორტი, პირველადი და დროებითი რეგისტრაცია, რომელიც იმოქმედებს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული ემისიის (ევრო 5/V) სტანდარტებთან ერთად. ინფორმაციას ამის შესახებ გარემოს დაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამონაკლისები ვრცელდება იმ M1 კატეგორიის ავტომობილებზე, რომელთა ტრანსპორტირება დაწყებულია პირველ აპრილამდე ან რომელიც უკვე შემოყვანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. ასეთი ავტომობილების პირველადი რეგისტრაცია მოხდება პირველ აპრილამდე არსებული პირობების შესაბამისად.

გარემოს დაცვის სამინისტრო საქსტატის მონაცემებს ავრცელებს, რომლის მიხედვითაც, 2024 წელს საქართველოში რეგისტრირებულია 1,814 მლნ ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას (85.7%) მსუბუქი ავტომობილები შეადგენენ. რეგისტრირებულ ავტომობილთა 80.6%-ის ასაკი 10 წელზე მეტია.

აკრძალვა არ ეხება:

- ელექტრომობილებს
- რეექსპორტს
- ტრანზიტს
- ექსპორტს

საავტომობილო, სარკინიგზო ან თვითსვლით წამოსული ავტომობილების შემთხვევაში გამონაკლისი იმოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ ავტომობილი საქართველოს სახელმწიფო საზღვარს გადმოკვეთს არაუგვიანეს 2026 წლის 1 ივლისისა და იმპორტიორი წარმოადგენს დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომ ტრანსპორტირება დაწყებულია 2026 წლის 1 აპრილამდე.

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
ᲘᲛᲔᲜᲐᲝ İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

2025 Yılında Türkiye ile Ticaretteki Gerileme, İhracattaki Düşüşten Kaynaklandı – Ne Aldık, Ne Sattık?

2025 წელს თურქეთთან ვაჭრობის შემცირება ექსპორტის კლებამ განაპირობა - რა ვიყიდეთ/გავყიდეთ?

Gürcistan'ın 25,8 milyar dolarlık dış ticaret hacminde Türkiye en büyük partner konumundadır. 2025 Yılında Gürcistan-Türkiye ihracat ve ithalatı hafifçe azalarak 3,1 milyar dolara gerilemiştir. Yıllık düşüş oranı %3,8 olarak kaydolmuştur. Buna rağmen, komşu ülke, %12'lik payıyla Gürcistan'ın bir numaralı ticaret ortağı olmaya devam etmektedir.

Resmi istatistiklere göre, dış ticaret hacmindeki düşüş, ihracattaki azalmadan kaynaklanırken, ithalat da neredeyse 2024 seviyesinde bulunmaktadır. Ayrıca, Türkiye ile ticaret dengesinin negatif olması, ithalatın ihracatı aştığı anlamına gelmektedir.

Geçen sene Gürcistan, Türkiye'ye yıllık %27,4'lük bir düşüşü ifade eden 332,9 milyon dolar değerinde mal satmıştır. Ülkeler bazında ihracat sıralamasında Türkiye, %4,6 pay ile altıncı sıradadır.

Türkiye'ye yapılan ihracat kalemlerine bakıldığında, düşüşün büyük ölçüde ferroalaşımlar sevkiyatlarının azalmasından kaynaklandığı görülmektedir. Bunun dışında erkek takım elbiseleri ve setleri ile elektrik ihracatında da azalma kaydedilmiştir.

Türkiye'ye İhraç Edilen Ürünlerde İlk 5 (2025):

- Tişört ve diğer triko ürünler – 71 milyon $, 1.643 ton
- Ferroalaşımlar – 39,5 milyon $, 36.775 ton
- Hurda – 20,8 milyon $, 2.391 ton
- Erkek triko takımları ve setleri – 19,7 milyon $, 688 ton
- Elektrik – 18,3 milyon $

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · TBC BANK İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless Specific waste management

İthalata gelince, 2024 yılında rakam 2,774 milyar dolar iken, geçen sene Türkiye'den 2,775 milyar dolarlık mal alınmıştır. Artış, binek otomobiller, petrol ve petrol ürünleri ile inşaat demirin kalemlerinde gerçekleşmiştir.

Türkiye'den İthal Edilen Ürünlerde İlk 5 (2025):

- Ambalajlı ilaçlar – 171,9 milyon $, 5.565 ton
- Binek otomobiller – 123,5 milyon $, 2.848 adet
- Petrol ve petrol ürünleri – 107,9 milyon $, 120.737 ton
- İnşaat demiri – 90,2 milyon $, 153.814 ton
- Siyah metal yapı ve parçaları – 62,5 milyon $, 32.367 ton

საქართველოს $25.8 მილიარდიან სავაჭრო ბრუნვაში თურქეთი უმსხვილესი პარტნიორია. 2025 წელს საქართველო-თურქეთის ექსპორტ-იმპორტი მცირედით, 3.1 მლრდ დოლარამდე შემცირდა. წლიური კლება 3.8%-ია. მიუხედავად ამისა მეზობელი სახელმწიფო 12%-იანი წილით საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორია.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, სავაჭრო ბრუნვის კლება ექსპორტის შემცირებამ განაპირობა, თუმცა იმპორტიც თითქმის 2024 წლის მაჩვენებელზეა. აღსანიშნია ისიც, რომ თურქეთთან სავაჭრო სალდო უარყოფითია, რაც იმას ნიშნავს, რომ იმპორტი ექსპორტს აღემატება.

გასულ წელს საქართველომ თურქეთში 332 მილიონ 900 ათასი დოლარის ღირებულების საქონელი გაყიდა, რაც წლიურად 27.4%-ით შემცირებული მაჩვენებელია. ექსპორტის მიხედვით ქვეყნების რეიტინგში თურქეთი 4.6%-იანი წილით მეექვსე ადგილზეა.

თურქეთში გაყიდული საქონლის ჩამონათალზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ექსპორტის კლება დიდწილად ფეროშენადნობების გადაზიდვების შემცირებამ განაპირობა. კლებაა ასევე მამაკაცის კოსტიუმების და კომპლექტების და ელექროენერგიის ექსპორტშიც.

თურქეთში **ექსპორტირებული** საქონლის TOP-5-ეული ასე გამოიყურება:

- მაისურები და სხვა ტრიკოტაჟის ნაწარმი - $71 მლნ, 1 643 ტონა;
- ფეროშენადნობები - $39.5 მლნ, 36 775 ტონა;
- სპილენძის ნარჩენები და ჯართი - $20.8 მლნ, 2 391 ტონა;
- ტრიკოტაჟის კოსტიუმები და კომპლექტები მამაკაცისთვის - $19.7 მლნ, 688 ტონა;

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

- ელექტროენერგია - $18.3 მლნ;

რაც შეეხება იმპორტს, თურქეთიდან გასულ წელს 2 მილიარდ 775 მილიონი დოლარის ღირებულების საქონელი შევიძინეთ, მაშინ როდესაც 2024 წელს იმპორტი $2.774 მილიარდი იყო. ზრდა გვაქვს მსუბუქი ავტომობილების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, არმატურის იმპორტში.

TOP-5 **იმპორტირებული** საქონლის რეიტინგი ასეთია:

- სამკურნალო საშუალებები დაფასოებული - $171.9 მლნ, 5 565 ტონა;
- მსუბუქი ავტომობილები - $123.5 მლნ, 2 848 ცალი;
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები - $107.9 მლნ, 120 737 ტონა;
- არმატურა - $90.2 მლნ, 153 814 ტონა;
- შავი ლითონების მეტალკონსტრუქციები და მათი ნაწილები - $62.5 მლნ, 32 367 ტონა;

Gıda ile Temas Eden Plastik Ürünler Yasaklanacaktır

სურსათთან კონტაქტში მყოფი პლასტმასის პროდუქცია აიკრძალება

Hükümet, gıda ile temas eden plastik ürünlerin yasaklanmasını planlamaktadır. Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı'ndan yapılan açıklamaya göre, yasak kademeli olarak uygulanacaktır.

Buna göre, 1 Temmuz 2026 tarihinden itibaren toplu tüketim yerlerinde, müşterilere plastik malzeme veya eşya içinde paketlenmiş ya da yerleştirilmiş gıdaların sunulması yasaklanacaktır.

Bunun dışında, 1 Şubat 2027 tarihinden itibaren, plastik malzeme veya eşya içinde paketlenmiş veya yerleştirilmiş gıdaların üretimi (ihracat amaçlı ürünler hariç), ithalatı ve piyasaya arzı yasaklanacaktır.

Yasak, ayçiçek yağı ve 10 litre ve üzeri hacimdeki içme sularını kapsamaz.

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless Specific waste management

Bakanlıktan gelen açıklama şu şekildedir: “1 Ocak 2026 tarihinden itibaren bazı tek kullanımlık plastik ürünlerin üretimi (ihracat amaçlı olanlar hariç), ithalatı ve satışı artık yasaklanmıştır. Bakanlık, sağlık, çevre koruma ve ekonomik çıkarların dengelenmesini amaçlayan bir plastik kullanımı azaltma modelini geliştirmiştir. Bu model, hem düzenlemelerin makul sürelerde uygulanmasını sağlamakta, hem çevresel güvenliği hem de özel sektörün sürdürülebilir gelişimini desteklemektedir. Bakanlık, içecek üreticileri, toplu tüketim yerleri temsilcileri ve iş dernekleri ile düzenli olarak iş birliği yapmaktadır.”

მთავრობა სურსათთან კონტაქტში მყოფი პლასტმასის პროდუქციის აკრძალვას გეგმავს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, აკრძალვა ეტაპობრივად განხორციელდება.

კერძოდ, 2026 წლის 1-ელი ივლისიდან აიკრძალება საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის პლასტმასის მასალაში ან ნაკეთობაში შეფუთული ან განთავსებული სურსათის მიწოდება.

ამასთანავე, 2027 წლის 1-ელი თებერვლიდან აიკრძალება პლასტმასის მასალაში ან ნაკეთობაში შეფუთული ან განთავსებული სურსათის წარმოება (გარდა ექსპორტის მიზნით), იმპორტი და ბაზარზე განთავსება.

აღსანიშნავია, რომ აკრძალვა მზესუმზირის ზეთზე, ასევე, 10 ლიტრი და მეტი მოცულობის სასმელ წყალზე არ გავრცელდება.

„2026 წლის 1-ელი იანვრიდან უკვე აკრძალულია გარკვეული სახის ერთჯერადი პლასტმასის ჭურჭლის წარმოება (გარდა ექსპორტის მიზნით), იმპორტი და რეალიზაცია. სამინისტრომ შეიმუშავა პლასტმასის მოხმარების შემცირების მოდელი, რომელიც ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვისა და ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებას. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს რეგულაციების გონივრულ ვადებში დანერგვას და ხელს უწყობს როგორც ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, ისე კერძო სექტორის მდგრად განვითარებას. სამინისტრო რეგულარულად თანამშრომლობს კერძო სექტორთან - სასმელების მწარმოებელ კომპანიებთან, კვების ობიექტების წარმომადგენლებთან და ბიზნესასოციაციებთან.“ - აღნიშნულია სამინისტროს განცხადებაში.

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless Specific waste management

2025 Yılında Gürcistan'dan İhracat %11,2 Artarak 7 Milyar 291,2 Milyon ABD Doları Olarak Gerçekleşti

2025 წელს საქართველოდან ექსპორტი 11.2%-ით გაიზარდა და 7 291.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

2025 yılında İİhracat, %11,2 artarak rekor seviyeye ulaşıp 7 milyar 291,2 milyon ABD dolarına eşit olmuştur. Yerli ihracat ise %12,5 artarak hacmi 3 milyar 367,4 milyon ABD doları olarak gerçekleşmiştir.

2025'in Aralık ayında ihracat %22,5 artarak 673,2 milyon ABD dolara çıktı. Yerli ihracat (yeniden ihracat hariç), bir önceki yılın Aralık ayına kıyasla %58,1 artarak 368,0 milyon ABD dolarına ulaşmıştır.

2025 Yılında en büyük ihracat kalemlerinden özellikle binek otomobiller, kıymetli metal cevherleri ve konsantreleri, fındık ve diğer kabuklu yemişler, petrol ve petrol ürünleri, mineral ve gazlı sular, azotlu gübreler ile mineral ve içme sularının ihracatında önemli artış kaydedilmiştir.

2025'in Aralık ayında özellikle petrol ve petrol ürünleri, kıymetli metaller, ferro alaşımlar, şarap, fındık ve diğer kabuklu yemişler ile alkollü içeceklerin ihracatında belirgin bir artış yaşanmıştır.

2025 Yılında dış ticaret hacmindeki artış ayrıca rekor kırarak %10,1 olarak gerçekleşip toplam hacim rekor 25 milyar 820,9 milyon ABD dolarına ulaşmıştır. 2025'in Aralık ayında dış ticaret hacmi bir önceki yılın aynı dönemine göre %12,1 daha fazla olan 2 milyar 521,1 milyon ABD doları olarak belirlenmiştir.

2025 წელს ექსპორტი 11.2%-ით გაიზარდა და რეკორდულ 7,291.2 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა. ადგილობრივი ექსპორტი 12.5%-ით გაიზარდა და მოცულობამ 3,367.4 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

2025 წლის დეკემბერში ექსპორტი 22.5%-ით გაიზარდა და 673.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რე-ექსპორტის გარეშე) წინა წლის

ARKAS GEORGIA LLC · ANKARA CATERING The Word Food · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

დეკემბერთან შედარებით 58.1%-ით გაიზარდა და მოცულობა 368.0 მლნ. აშშ. დოლარს გაუტოლდა.

უმსხვილესი საექსპორტო პროდუქტებიდან 2025 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა მსუბუქი ავტომობილების, ძვირფასი ლითონების მადნების და კონცენტრატების, თხილისა და სხვა კაკლის, ნავთობის და ნავთობპროდუქტების, მინერალური და გაზიანი წყლების, აზოტოვანი სასუქებისა და მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი.

2025 წლის დეკემბერში მნიშვნელოვნად გაიზარდა: ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, ძვირფასი ლითონების, ფეროშენადნობების, ღვინოების, თხილისა და სხვა კაკლის და სპირტიანი სასმელების ექსპორტი.

2025 წელს სავაჭრო ბრუნვის ზრდა 10.1%-ს გაუტოლდა და მოცულობამ 25,820.9 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, რაც ექსპორტის მსგავსად ასევე რეკორდული მოცულობაა. 2025 წლის დეკემბერში სავაჭრო ბრუნვა 2,521.1 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 12.1%-ით მეტია.

Ocak Ayında İhracat %19 Artarken, İthalat %34,5 Azalma Gösterdi - Geostat

იანვარში ექსპორტი 19%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 34.5%-ით შემცირდა - „საქსტატი“

Ulusal İstatistik Ofisi tarafından yayımlanan verilere göre, Ocak 2026'da, Gürcistan'ın mal dış ticaret cirosu (Beyan edilmemiş ticaret hariç) bir önceki yılın aynı dönemine göre %24,2 düşerek 1,597 milyar ABD doları olarak gerçekleşmiştir.

%19 Artış gösteren ihracat 480,4 milyon ABD doları, %34,5 oranında azalan ithalat ise 1,117 milyar ABD doları teşkil etmiştir.

ARKAS GEORGIA LLC
ANKARA CATERING The Word Food
EFES GEORGIA
K 777
LC WAIKIKI
IŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
Wasteless

Bunun dışında, ticaret dengesi dış ticaret cirosunun %39,9'una denk gelen 636,6 milyon ABD doları olarak kaydolmuştur.

2026 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 1.597 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 24.2 პროცენტით ნაკლებია. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს.

აქედან, ექსპორტი 480.4 მლნ. აშშ დოლარი იყო (გაიზარდა 19 პროცენტით), ხოლო იმპორტი 1.117 მლრდ. აშშ დოლარი (შემცირდა 34.5 პროცენტით).

ამასთან, უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2026 წლის იანვარში 636.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39.9 პროცენტია.